ლუდვიგ ბინსვანგერი

ეგზისტენციალური ანალიზი

LUDWIG BINSWANGER

EXISTENZALYSE

გამომცემლობა აქტი

თბილისი – 2022

წიგნში ასახულია ლუდვიგ ბინსვანგერის მიერ შემოთავაზებული პიროვნების ანალიზის მეთოდი, რომელიც ავლენს მას მთლიანობასა და მისი არსებობის უნიკალურობაში.

იასპერსის, ჰუსერლის, ჰაიდეგერის, სარტრის, ბუბერის, კანტის და სხვა ფილოსოფოსების იდეების შერწყმით ბინსვანგერმა შექმნა ეგზისტენციალური ანალიზის უნიკალური თეორია, მეცნიერული ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება მივუახლოვდეთ „მიუწვდომელი ფსიქიკური ცხოვრების“ მეცნიერულ გაგებას.

როგორც ჰაიდეგერისა და ჰუსერლის იდეების გამტარებელი ფსიქიატრიის სივრცეში, ბინსვანგერი ინდივიდუალური ყოფიერების ანალიზს აგებს ჰაიდეგერის მიერ შემუშავებული აბსტრაქტული ყოფიერების ონტოლოგიაზე და ამოცანას იმაში ხედავს, რომ ფენომენების ზედაპირის გავლით პიროვნების შინაგან სამყაროში შეაღწიოს, რათა ფენომენოლოგიური მეთოდის დახმარებით აღწეროს დაავადებული ადამიანის სამყარო, სამყარო, რომელიც ჩვენი სამყაროსგან უკიდურესად განსხვავდება. არა ინტერპრეტირება და რაციონალური ინტერპრეტაციის მცდელობა, არამედ „განცდის მთლიანობასა და ერთიანობაში მოხელთება ირაციონალური სამყაროსი, რომელიც შიზოფრენიით დაავადებულის, ნევროტიკოსის და ბავშვის ცნობიერებაში იბადება“.

ავტორი: ლუდვიგ ბინსვანგერი
მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გარეკანის დიზაინი: დაიანა ღონიაძე

პირველი ქართული გამოცემა, 2022
გამომცემლობა „აქტი“, 2022 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© iBooks

ISBN 978-9941-8-4379-2

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა..... 5

თავი I

აზროვნების ეგზისტენციალურ-ანალიტიკური სკოლა..... 7

I. ეგზისტენციალური ანალიზი – მისი ბუნება და მიზნები..... 7

II. განსხვავება ადამიანის არსებობასა დაცხოველის არსებობას შორის.....13

III. აზროვნების ეგზისტენციალურ-ანალიტიკური სკოლა ფსიქიატრიაში 21

თავი II

შეშლილობა, როგორც ცხოვრება-ისტორიის

ფენომენი და როგორც ფსიქიკური დაავადება 42

ილზას შემთხვევა.....42

I. შეშლილობა, როგორც ცხოვრება-ისტორიის ფენომენი 42

II. შეშლილობა, როგორც ფსიქიკური დაავადება 62

III. შეშლილობა, როგორც ცხოვრება-ისტორიული

ფენომენი და როგორც ფსიქიკური დარღვევა.....70

თავი III

ელენ ვესტის შემთხვევა..... 78

ანთროპოლოგიურ-კლინიკური კვლევა 78

I. შემთხვევის ისტორია 78

II. ეგზისტენციალური ანალიზი.....125

III. ეგზისტენციალური ანალიზი და ფსიქოანალიზი.....196

IV. ფსიქოპათოლოგიური კლინიკური ანალიზი.....218

დასკვნა 272

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....277-279

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ლუდვიგ ბინსვანგერი 1881 წლის 13 აპრილს დაიბადა კროიცლინგენში (შვეიცარია), ოჯახში მდიდარი სამედიცინო, კერძოდ, ფსიქიატრიული ტრადიციით. ის სწავლობდა იუნგის ხელმძღვანელობით, როგორც მისი ასისტენტი, შემდეგ კი ბლოილერის ხელმძღვანელობით, იზიარებდა რა ორივე მასწავლებლის ინტერესს შიზოფრენიისადმი. 1907 წელს იუნგმა ბინსვანგერი ფროიდს გააცნო. ბინსვანგერის მეგობრობა და თანამშრომლობა ფროიდთან ამ უკანასკნელის სიკვდილამდე გაგრძელდა, მიუხედავად მრავალი განსხვავებისა თერაპიული პრაქტიკის მეთოდისა და მიზნების ინტერპრეტაციაში. მათი მიმოწერა მოიცავს 60-ზე მეტ წერილს.

ბინსვანგერმა თავისი პირველი მთავარი ნაშრომი, „შესავალი ზოგადი ფსიქოლოგიის პრობლემებში“, მიუძღვნა ოიგენ ბლოილერსა და ზიგმუნდ ფროიდს. იმავე 1907 წელს ბინსვანგერმა მიიღო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ციურიხის უნივერსიტეტიდან. ამ დროს იგი აქტიურად სწავლობდა დილთაის და ჰუსერლის შრომებს, სულ უფრო მეტად ენთებოდა რა გაგებისა და ფენომენოლოგიური ფსიქოლოგიის იდეით.

1911 წელს ბინსვანგერი გახდა კროიცლინგენის სანატორიუმის მთავარი სამედიცინო დირექტორი, რომლის დირექტორები წარსულში მისი მამა და ბაბუა იყვნენ. გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ეს სანატორიუმი გარკვეულწილად იყო ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის ფენომენოლოგიურად მოაზროვნე წრეების (ვ. გებზატელი, რ. კუნი, ე. მინკოვსკი, ე. შტრაუსი) შეხვედრის ადგილი. ბინსვანგერის ამ პერიოდის ნაშრომებში შესამჩნევია კანტისა და ნეოკანტიანური სკოლის, კერძოდ ნატორპის, ასევე, კარლ იასპერსის, ფენომენოლოგიური ფსიქოპათოლოგიის გავლენა. ბინსვანგერისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო გაცნობა მარტინ ჰაიდეგერის 1927 წელს გამო-

ქვეყნებულ ნაშრომთან „ყოფიერება და დრო“, რომელმაც შემდგომში განაპირობა მისი Dasein ანალიზის მეთოდის სახელწოდება (მეთოდის შემდგომი სახელწოდებებია: „ფსიქიატრიული Dasein ანალიზი“, „ეგზისტენციალური აპრიორული სტრუქტურების ანალიზი“, „ანთროპოლოგიური ანალიზი“, უბრალოდ „ეგზისტენციალური ანალიზი“).

1956 წელს ბინსვანგერი მას შემდეგ, რაც 45 წელი იმყოფებოდა ამ პოზიციაზე, გადადგა კროიცლინგენის სანატორიუმის მთავარი სამედიცინო დირექტორის თანამდებობიდან. ის აქტიურ მუშაობას გარდაცვალებამდე (1966) განაგრძობდა.

წინამდებარე წიგნში ასახულია ლუდვიგ ბინსვანგერის მიერ შემოთავაზებული პიროვნების ანალიზის მეთოდი, რომელიც ავლენს მას მთლიანობასა და მისი არსებობის უნიკალურობაში.

იასპერსის, ჰუსერლის, ჰაიდეგერის, სარტრის, ბუბერის, კანტის და სხვა ფილოსოფოსების იდეების შერწყმით ბინსვანგერმა შექმნა ეგზისტენციალური ანალიზის უნიკალური თეორია, მეცნიერული ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება მივუახლოვდეთ „მიუწვდომელი ფსიქიკური ცხოვრების“ მეცნიერულ გაგებას.

როგორც ჰაიდეგერისა და ჰუსერლის იდეების გამტარებელი ფსიქიატრიის სივრცეში, ბინსვანგერი ინდივიდუალური ყოფიერების ანალიზს აგებს ჰაიდეგერის მიერ შემუშავებული აბსტრაქტული ყოფიერების ონტოლოგიაზე და ამოცანას იმაში ხედავს, რომ ფენომენების ზედაპირის გავლით პიროვნების შინაგან სამყაროში შეაღწიოს, რათა ფენომენოლოგიური მეთოდის დახმარებით აღწეროს დაავადებული ადამიანის სამყარო, სამყარო, რომელიც ჩვენი სამყაროსგან უკიდურესად განსხვავდება. არა ინტერპრეტირება და რაციონალური ინტერპრეტაციის მცდელობა, არამედ „განცდის მთლიანობასა და ერთიანობაში მოხელთება ირაციონალური სამყაროსი, რომელიც შიზოფრენიით დაავადებულის, ნევროტიკოსის და ბავშვის ცნობიერებაში იბადება“.

ეგზისტენციალური ანალიზი, ბინსვანგერის აზრით, დაიბადა ფსიქიატრიის, ფსიქოპათოლოგიისა და ფსიქოთერაპიის პრობლემების ახალი მეცნიერული გაგების მისაღწევად.

თავი I

აზროვნების ეგზისტენციალურ-ანალიტიკური სკოლა[1]

I. ეგზისტენციალური ანალიზი – მისი ბუნება და მიზნები

ეგზისტენციალური ანალიზის ქვეშ ჩვენ გვესმის მეცნიერული კვლევის ანთროპოლოგიური[2] ტიპი ანუ ისეთი, რომელიც ადამიანის ყოფიერების არსის შესწავლისკენაა მიმართული. სახელწოდება და ფილოსოფიური საფუძველი აღებულია ჰაიდეგერის შრომიდან „Daseins Analytics". ეს მისი დამსახურებაა, თუმცა ჯერ კიდევ არ არის სრულად აღიარებული – ეგზისტენციის ფუნდამენტური სტრუქტურის აღმოჩენა და მისი ძირითადი მახასიათებლების აღწერა, ანუ სამყაროდ-მყოფობის სტრუქტურისა. აიგივებს რა ძირითად პირობას ანუ ეგზისტენციის სტრუქტურას სამყაროდ-მყოფობასთან, ჰაიდეგერი ამით რაღაცას გვამცნობს ეგზისტენციის შესაძლებლობის პირობის შესახებ. „სამყაროდ-მყოფობის" ფორმულირება, რომელსაც ჰაიდეგერი იყენებს, ონტოლოგიური თეზისის საფუძვლად დევს, მტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ეგზისტენციას მთლიანობაში. ამ უმნიშვნელოვანესი პირობის აღმოჩენამ და წარმოდგენამ ეგზისტენციალურ ანალიზს გადამწყვეტი სტიმული, ფილოსოფიური

1. „Über die daseinsanalytische Forschungsrichtung in der Psychiatrie", Schweizer Archiv fur Neurologie und Psychiatrie, Vol. 57, 1946, pp. 209-225. ხელახლა გამოიცა Ausgewählte Vortrage und Aufsätze, Vol. I. Berne; Francke, 1947, pp. 190-217.

2. ბინსვანგერი ამ ცნებას არა ამერიკელებისთვის ჩვეული კულტურული ანთროპოლოგიის – ეროვნებათა, ზნე-ჩვეულებებისა და ა.შ. შედარებითი შესწავლის მნიშვნელობით იყენებს, არამედ უფრო ვიწრო ეტიმოლოგიური აზრით, ანუ ანთროპოლოგია, როგორც ადამიანის შესწავლა და, განსაკუთრებით, როგორც შემდეგ თავად ამბობს, ადამიანის ყოფიერების არსობრივი მნიშვნელობისა და მახასიათებლების შესწავლა.

საფუძველი და განმარტება მიანიჭა, ამასთან ერთად კი მეთოდოლოგიური მითითებებიც. თუმცა თავად ეგზისტენციალური ანალიზი არც ონტოლოგიაა და არც ფილოსოფია, შესაბამისად, მას ვერ განვსაზღვრავთ, როგორც ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას. როგორც მკითხველი სულ მალე დარწმუნდება, ერთადერთი სათანადო სახელწოდება მოცემულ სიტუაციაში – *ფენომენოლოგიური ანთროპოლოგიაა.*

ეგზისტენციალური ანალიზი არ გვთავაზობს ონტოლოგიურ თეზისს არსებობის განმსაზღვრელი ფუნდამენტური პირობის შესახებ, არამედ *აცხადებს არსებულის შესახებ*, ანუ გვამცნობს ფაქტიურ მონაცემებს, რომლებიც ეგზისტენციის რეალურად გამოვლენად ფორმებსა და კონფიგურაციებს ეხება. ამ აზრის ეგზისტენციალური ანალიზი – ემპირიული მეცნიერებაა, რომელსაც საკუთარი მეთოდი და სიზუსტის იდეალი გააჩნია, კერძოდ კი მეთოდი და სიზუსტის იდეალი ფენომენოლოგიური ემპირიული მეცნიერებებისა.

დღეს ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ემპირიული მეცნიერული ცოდნის ორი სახეობა. პირველი – *დისკურსიულ-ინდუქტიური* ცოდნა ბუნებრივ მოვლენათა აღწერის, განმარტებისა და კონტროლის აზრით; მეორე – *ფენომენოლოგიურ-ემპირიული* ცოდნა ფენომენოლოგიური შემადგენლის კრიტიკული გამოყენების ან განმარტებისთვის. ეს გოეთესა და ნიუტონის ასაკოვანი პოლემიკაა, რომელიც ჩვენ საერთოდ აღარ გვაღელვებს და განცდის ბუნებაში ჩვენი ღრმა წვდომის წყალობით „ან-ან“-იდან „აგრეთვედ“ იქცა. იგივე ფენომენოლოგიურ-ემპირიული ცოდნა გამოიყენება, მიუხედავად იმისა, საქმე პოემისა თუ დრამის ლიტერატურულ შემადგენელთან გვაქვს, რორშახის ტესტის პასუხების თუ ეგზისტენციის ფსიქოტური ფორმის შინაარსთან. ფენომენოლოგიურ ცდაში ბუნებრივ ობიექტთა დისკურსიული დაშლა მახასიათებლებად ან თვისებებად, და მათი გადამუშავება ტიპებად, ცნებებად, დასკვნებადა და თეორიებად ჩანაცვლებულია იმის შინაარსის გამოხატულებით, რაც წმინდად ფენომენალურად არის მოცემული და, შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში არ წარმოადგენს „ბუნების, როგორც ასეთის“ ნაწილს. მაგრამ ფენომენალურმა შემადგენელმა შესაძლოა გამოხატულება იპოვოს და, მას შემ-

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. ფრიდრიხ ნიცშე – კერპების მწუხრი, ანუ როგორ ფილოსოფოსობენ ჩაქუჩით

5. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
6. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

7. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
8. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

9. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
10. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
11. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
12. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

13. ლევ შესტოვი – შემეცნების ფილოსოფია და თეორია
14. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

17. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
18. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
19. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
20. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
23. სვამი ვივეკანანდა – ბჰაქთი-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
25. სვამი ვივეკანანდა – პატანჯალის იოგა სუტრა
26. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
27. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

28. მერაბ მამარდაშვილი – კარტეზიანული განაზრებანი
29. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
30. მერაბ მამარდაშვილი – ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
31. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

32. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

33. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
34. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

35. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
36. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
37. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
38. ჯიდუ კრიშნამურტი – პირველი და უკანასკნელი თავისუფლება

39. ოშო – რა არის მედიტაცია?
40. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

41. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
42. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

43. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
44. იულიუს ევოლა – ვეფხვის მორჯულება

45. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
46. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ

47. გიორგი გურჯიევი – გრძნეულთა ბრძოლა
48. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
49. გიორგი გურჯიევი – ცხოვრება რეალურია მხოლოდ მაშინ, როცა „მე ვარ“
50. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I-IV

51. ეკჰარტ ტოლე – აწმყოს ძალა
52. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა

53. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
54. ნონა ხიდეშელი – Carpe diem

55. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
56. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
57. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია

58. ჯონ სტიუარტ მილი – სოციალიზმი
59. ჯონ სტიუარტ მილი – თავისუფლების შესახებ
60. ჯონ სტიუარტ მილი – ქალთა დაქვემდებარება

61. დევიდ ჰიუმი – რელიგიის ბუნებრივი ისტორია
62. ლუდვიგ ბინსვანგერი – ეგზისტენციალური ანალიზი
63. გაბრიელ მარსელი – იყო და ფლობდე